

ქ. ზუგდიდი

1 ივლისი 2013 წელი.

ერთის მხრივ, კახათის №1 საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, მანანა მებონია სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „ზუგდიდტრანსჯორჯია“ (შემდგომში „მიმწოდებელი“); მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, დირექტორის პლატონ გოგაას სახით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების“ საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

#### 1. ხელშეკრულების საბაზო

- 1.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია კისრულობს, გაუწიოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, ხოლო „შემსყიდველი“ ვალდებულია კისრულობს აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ მომსახურების საზღაური, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- 1.2 ხელშეკრულების საგანია ერთ პირთან მოლაპარაკების წესით, კახათის №1 საჯარო სკოლასთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „კახათი“-ს ხალხური ცეკვის ფესტივალზე ტრანსპორტით მომსახურება
- 1.3

#### 2. ხელშეკრულების ღირებულება

- 2.1 გასაწევი მომსახურების ღირებულება შეადგენს . 1050(ერთიათასორმოცდაათი) ლარს.

#### 3. მომსახურების გაწევის პირობები

- 3.1 „მიმწოდებელმა“ უნდა უზრუნველყოს მომსახურების გაწევა, 2 ივლისს 2013წ
- 3.2 მომსახურების გაწევის პარალელურად, „მიმწოდებელი“ ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა „შემსყიდველისათვის“ (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტი).

#### 4. მიღება-ჩაბარების წესი

- 4.1 გაწეული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღებას ახორციელებს „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც მომსახურების მიღების შედეგების მიხედვით აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს.

## 5. ანგარიშსწორების ფორმა და ფესი

5.1 ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ განხორციელდება უნაძლო აგარიშსწორებით.

5.2 ანგარიშსწორებას „შემსყიდველი“ განახორციელებს ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე სასაქონლო ზედნადების და მიღება-ჩაბარების აქტის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

## 6. მხარეთა უფლება-მოვალეობა

### 6.1 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

6.1.1 უზრუნველყოს გაწეული მომსახურების შესაბამისი ანაზღაურების გადახდა „მიმწოდებლისათვის“ წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით;

6.1.2 შეუქმნას „მიმწოდებელს“ სამუშაო პირობები;

6.1.3 გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი.

### 6.2 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

6.2.1 „მიმწოდებლისაგან“ მოითხოვოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით და განსაზღვრულ ვადაში;

6.2.2 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება;

6.2.3 დაუბრკოლებლივ განახორციელოს „მიმწოდებლის“ მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის შემოწმება;

6.2.4 „მიმწოდებლისაგან“ მოითხოვონ გაწეული მომსახურების შესახებ დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

### 6.3 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

6.3.1 ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით გასწიოს მაღალკვალიფიციური მომსახურება;

6.3.2 განსაზღვროს მგზავრთა გადაყვანა-გადმოყვანისთვის სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა და მათი ტიპი;

6.3.3 მგზავრთა გადაყვანა-გადმოყვანისთვის გამოყოს გამართულ მდგომარეობაში მყოფი ტრანსპორტი;

6.3.4 შეასრულოს მოსახურება სრული მოცულობით ამ ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში;

6.3.5 განახორციელოს ყველა სატრანსპორტო ოპერაცია და პროცედურა მგზავრთა დროულად და უსაფრთხოდ გადაყვანა-გადმოყვანის უზრუნველყოფისათვის;

- 6.3.6 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „შემსყიდველს“ წარუდგინოს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები;
- 6.3.7 საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს „შემსყიდველის“ მიერ გამოვლენილი ყველა ნაკლის აღმოფხვრა, რომელიც გამოწვეულია გაწეული მომსახურებით;
- 6.3.8 მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების შესახებ შესაბამისი პირველადი დოკუმენტაციის ასლები და ანგარიში, რომლის შემდეგაც ფორმდება დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტით;
- 6.3.9 დაუყოვნებლივ აცნობოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ;
- 6.3.10 ხელშეკრულების შესრულების პერიოდში სუბკონტრაქტების დადების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს „შემსყიდველს“ შესაბამისი თანხმობის მისაღებად.

**6.4 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:**

- 6.4.1 „შემსყიდველისგან“ მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

**7. უფლებების გადაცემა**

- 7.1 „მიმწოდებელს“ არა აქვს უფლება „შემსყიდველის“ წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

**8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა**

- 8.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**9. შეტყობინება**

- 9.1 ნებისმიერი შეტყობინება, მხარის მიერ ხელშეკრულების შესაბამისად, გავგზავნება მეორე მხარეს წერილობითი სახით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.
- 9.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

**10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება**

- 10.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შეუსრულებლობის საფრთხის შესახებ,



მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე კი ასევე დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

- 10.2 იმ შემთხვევაში თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

## 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

- 11.1 ხელშეკრულებითა დაშტკიცებული ვადების დარღვევისათვის მხარეები ჯარიმის სახით გადაიხდიან სახელშეკრულებო ღირებულების 0,1 %-ს, ყოველ გადაცილებულ დღეზე.
- 11.2 საჯარიმო თანხის გადახდა უნდა მოხდეს ვალდებულების შეუსრულებლობის მომენტიდან ერთი თვის ვადაში.
- 11.3 საჯარიმო თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 12. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

- 12.1 ხელიშეკრული მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მეორე მხარე, უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.
- 12.2 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 2 (ორი) კვირით ადრე მაინც, ამასთან, უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი.
- 12.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

- 12.4 მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების საბოლოო აქტი წარმოადგენს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძველს.

## 13. შორს-მავრო

- 13.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაინაცვებს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
- 13.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

- 13.3 მხარე, რომელსაც შეეჭმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუცონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

#### 14. ღაჰჰჰის გაღაფჰჰის ფჰჰი

- 14.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დაეები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
- 14.2 შეთანხმების მოღწეველობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

#### 15. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

- 15.1 „შემსყიდველს“ ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.
- 15.2 ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს „შემსყიდველის“ მიერ გამოყოფილი წარმომადგენელი ან სპეციალური ინსპექტირების ჯგუფი.
- 15.3 ინსპექტირება განხორციელდება პერიოდულად, წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.
- 15.4 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია განახორციელოს „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი.

#### 16. ღასკჰჰი დჰჰჰჰჰჰ

- 16.1 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გარღმავების სურვილით.
- 16.2 ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.
- 16.3 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
- 16.4 ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება, მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების შესახებ და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდება შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
- 16.5 ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმების წერილობითი გაფორმების შედეგად.
- 16.6 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 იულიამდე
- 16.7 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად 2 (ორი) ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან“, ხოლო ერთი ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს.“

17. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“

კახათის №1 საჯარო სკოლა  
საინდივიდუალური კოდი 220373762  
ბანკის კოდი ლაბუნია ბანკი  
ან GE 79LB0121123404148000

კახათის №1 საჯარო სკოლის  
დირექტორი:

ხელმოწერა:



„მომწოდებელი“

შ.პ.ს. „ზუგდიდტრანსჯორჯია“  
საიდენტიფიკაციო კოდი 419986411

მისამართი: ქ. ზუგდიდი, ბერას ქ. №49  
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „საქართველოს ბანკი“-ს  
ცენტრალური ფილიალის სერვის ცენტრი №37  
ბანკის კოდი BAGAGE22  
ანგ. № GE96BG0000000395147400

შ.პ.ს. „ზუგდიდტრანსჯორჯია“-ს

დირექტორი:

/პ. კოვაძე/

